პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 162 (6217)

19 1978 წ. აგვისტო, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физичаской культуре и спорту при Совета Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## წყალში ხტომა

## [illegible] ღმართულია

...ბილისში „ლოკომოტივის" ...ურო აუზში გუშინ სტარტი ... სსრ კავშირის თასის გათამაშე... წყალში ხტომაში. სპორტის ...ტებმა მ. იაკუშინამ (მოსკო... ...და ა. კალმიკოვმა (ჩელიაბინს... ...ლმართეს შეჯიბრების ალამი.

...პარეზობაში 11 გუნდი მონა... ...ეობს: რუსეთის ფედერაცია, ...აინა, ბელორუსია, ლიტვა, ...ბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი, ...ეთი, საქართველო, მოსკოვი ...ენინგრადი. მონაწილეთა შო... ...არიან ჩვენი ქვეყნის ძლიე... ...მხტომელები ი. კალინინა, ...აცეხოვსკაია, ტ. პონომარი..., ტ. ამბარცუმიანი, ვ. ოლეი... ...და სხვანი, რომლებიც მსოფ... ...ჩემპიონატში გამოდიან (იგი ...იწყება დასავლეთ ბერლინ...

...ბრებს ქალებმა გახსნეს (ის... ...დილით ასპარეზობდნენ 3-...იან ტრამპლინზე). სამწუხა... ...ავადმყოფობის გამო სტარ... ...ვერ გამოვიდა ჩვენი რეს... ...იკის წარმომადგენელი, სპო... ...ოსტატი ი. გუტიაკულოვა. ...თადი ბრძოლა თავიდანვე სა... ...შორისო კლასის სპორტის ...ტებს ი. გორინასა (სარატო... ...და ო. დიმიტრიევას (მოსკო... ...ორის წარიმართა, რომლებმაც ...მიმდევრობით პირველი და ... შედეგი აჩვენეს.



გუშინ საღამოს სტარტზე გამოვიდნენ ვაჟები, რომელთა შორის ორი თბილისელი იყო — სპორტის ოსტატი ი. ელბაქიძე და ოსტატობის კანდიდატი ა. გალსტიანი. ი. ელბაქიძემ მესამე შედეგი (481,53 ქულა) აჩვენა, რვა საუკეთესოთა შორის მოხვდა და გააგრძელებს ასპარეზობას.

დღეს გაიმართება ტრამპლინიდან მხტომელ ვაჟთა და ქალთა ფინალური ასპარეზობანი.

ო. ოთარაშვილი.

## ისინი გამოვლენ ტაშკენტში

## ვიდრე „ტახი" არ გაქცეულა

...დიდხანს ვისხედით პლაჟზე ლურჯწითელზოლიანი, გაფარჩხული ქოლგის ჩრდილში და აგვისტოს მზე ვერას გვაკლებდა. ვისხედით და გულახდილად, დაურიდებლად ვსაუბრობდით — ყოველგვარი „დიპლომატიური" შეზღუდულობის გარეშე. დროდადრო თვალხატულა კენჭებს ლურჯად მოლივლივე ზღვაში ვისროდით, ისე, ბავშვებს რომ სჩვევიათ. ბავშვებიც ამასვე აკეთებდნენ, ოღონდ უბრალოდ, ძალდაუტანებლად, სროლის ქინს იკლავდნენ უთუოდ. თუმცა ამ გარუჯულ გოგო-ბიჭებზე ბავშვებიო არც ითქმის — უკვე მოზრდილები არიან, 15-16 წლისანი. დიდი ხანი არ არის, რაც სპორტს დაუმეგობრდნენ, 2-3 წელიწადი თუ იქნება, მაგრამ უკვე მოასწრეს პირველი ქულებისა და მედლების მოპოვება. გამარჯვებას სიხარული მოჰყვა, სიხარულს — სპორტის მშვენიერი სამყაროს უფრო ღრმად შეცნობის, ახალი დაულაშქრავი სიმაღლეების დაპყრობის სურვილი. მაგრამ მარტო სურვილი არ კმარა, საჭიროა შრომა, ბრძოლა, ჭირთათმენა, არჩეული მიზნისკენ შეუნელებელი სვლა და... კიდევ ათასი რამ. ეს კარგად იციან ამ გოგო-ბიჭებმა,ვალდებულნიც არიან, მათ ხომ დიდი ნდობა გამოუცხადეს — რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრების კანდიდატებად დაასახელეს. ნაკრები კი XV საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადება, ტაშკენტი იქნება მისი დედაქალაქი. ემზადებიან ტყვიის მსროლელებიც. უკვე თვენახევარზე მეტია აქ, სოხუმის მახლობლად, ეშერის „დინამოს" სასროლეთზე გადიან სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას. გუნდში სულ 18 სპორტსმენია — თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან და ბათუმიდან.

აკრობატთა რესპუბლიკური ნაკრებიც აქ არის — ისინიც სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

ტყვიის მსროლელები და აკრობატები. სპორტის სრულიად განსხვავებული სახეობების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი ეშერაში, მაგრამ ერთი დიდი, საერთო მიზანი აქვთ — წარმატებით გამოვიდნენ სპარტაკიადაზე, ასახელონ სკოლა, ქალაქი, რესპუბლიკა. ისინი ერთად ცხოვრობენ, ერთ ჭერქვეშ. ვერაფერი საცხოვრებელი პირობებია: ვიწრო და ნახევრადბნელი ოთახები, გაბზარული კედლები, დახუთული ჰაერი და უგემური კერძები.

გარეთ კი ყველაფერი თვალს ახარებს: დიდებული მრავალსართულიანი დასასვენებელი სახლები, გემოვნებით ნაგები ვილები და კოტეჯები. აივნებზე უდარდელი, ტიტლიკანა წყვილები გამოსულან და მზეს ეფიცხებიან... ეს გოგო-ბიჭები კი ვარჯიშობენ, შრომობენ, ოფლს ღვრიან, საღამოს კი ოთახებში შესვლა ეზარებათ, სინესტესა და ღამყაყებულ ჰაერს გაურბიან.

ვინმეს რომ ეთქვა, არც დავიჯერებდი. საკუთარი თვალით ვნახე და დავიჯერე.

სწორედ ამაზე ჩიოდა და წუხდა ტყვიის მსროლელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი თენგიზ ხერხეულიძე, პლაჟზე რომ ვისხედით და ვსაუბრობდით. ამაზე და წვრთნა-ვარჯიშის უხეირო პირობებზე.

ვიცი, გაიკვირვებთ: ეშერის სასროლეთს კაცი ავუგად როგორ მოიხსენიებს, ამ ბაზაზე ხომ თვით ოლიმპიური ნაკრების წევრები ემზადებიანო. მეც გამიკვირდა და მწვრთნელს „ალმაცერად" შევხედე. მალე ყველაფერი ნათელი გახდა, ნუ იტყვით და, თურმე მეორე დღეა ტყვია-წამალი გამოლევიათ და ვარჯიშს ვერ ატარებენ. ისინიც შერიგებიან ბედს — ხუთ-ექვს დღეს ივარჯიშებენ და... ტყვია-წამლის ახალი პარტიის ლიმიტს ელოდებიან, აგერ უკვე თვენახევარია ამ დღეში არიან. მოსწავლე-სპორტსმენებს არც იარაღ-აღჭურვილობა აქვთ ხეირიანი. არადა, რა დიდებული სასროლეთია ეშერაზე, კაცი უკეთეს ვერც ინატრებს.

...გოგო-ბიჭები კი დგანან და (ნებსით თუ უნებლიეთ) ზღვაში კენჭებს ისვრიან. ტყვიას უნდა ისროდნენ მიზანში და კენჭებს ისვრიან უმისამართოდ.

სპარტაკიადა კი ახლოვდება, დათვლილი დღეებიღა დარჩა სტარტამდე.

საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი უკვე გავიცანით. აი დანარჩენებიც: ალექსანდრე ოგანეზოვი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, იოსებ ქუსიკაშვილი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, რაფაელ ანანიკიანი — სომხეთის სსრ დამსახურებული მწვრთნელი, როლანდ გიორგულიანი და ბორის ზანოზრდია.

სულ ექვსნი არიან. ექვსი ოსტატი და თვრამეტი შეგირდი...

მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ჩამოვაგდე სიტყვა. მწვრთნელები შედეგებით აშკარად უკმაყოფილონი არიან — ჩვენი მომავალი მეტოქეები გაცილებით უკეთესად ისვრიანო. ამას კი აღიარებენ, მაგრამ ჩამორჩენის მიზეზების დასახელება უჭირთ. ასეთ დროს სხვადასხვა ხელშემშლელ პირობებზე საუბარი უხერხულიც არის. საპასუხისმგებლო ასპარეზობის წინ ელემენტარული საკითხი მოუგვარებელია და კაცმა სხვა რამეზე როგორ უნდა იფიქროს, თუმცა ეს მხოლოდ უცაბედად მოსული აზრია, თორემ სწორედ მსგავსი ფაქტია ბევრ რამეს რომ გაფიქრებინებს.

დარწმუნებული ვარ, ყველა პრობლემა დროულად და უმტკივნეულოდ გადაიჭრებოდა, სპორტის ამ სახეობას საჭირო ყურადღება და მხარდაჭერა რომ არ აკლდეს. ეს ზემოხსენებულმა მწვრთნელებმაც გულახდილად აღიარეს, თუმცა არც ერთ მათგანს არ წამოსცდენია, რომ მეტნაკლებად თვითონაც არიან ბრალში. ასეა, ჩვენ ხშირად მიზეზების ძიებაში ვართ ხოლმე, ოღონდ იმას ნაკლებად ვუფიქრდებით, რომ ერთ-ერთ მიზეზად (ხშირად გადამწყვეტადაც კი) შეიძლება ჩვენივე გულგრილობა და უნიათობა გამოდგეს. თორემ ის რა მიზეზია, სპარტაკიადის პროგრამა შეიცვალა, „გაქცეულ ტახზე" სროლა დაემატა და სპორტსმენების ხეირიანად მომზადებას ვერ ვასწრებთო. პროგრამა ყველასთვის შეიცვალა და ეს ამბავი პრივილეგიას არც ერთ გუნდს არ ანიჭებს, სულ სხვა საქმეა, ვინ როგორ აულებს ალღოს ამ სიახლეს და საერთოდ, ვინ უფრო გულთან მიიტანს ამ დიდ და საპატიო საქმეს, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ღირსების დაცვა რომ ჰქვია. თუ ორივე ხელი მკვიდრად არ ჩაავლე ეშვებში, ის „გაქცეული ტახი" ლიახაც გაიქცევა და მერე გვიანღა იქნება...

წინა, XIV სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის მსროლელებმა საპატიო IV ადგილი დაიკავეს. რა იყო ეს, შემთხვევითობა თუ კანონზომიერება? ახლა ძნელია ამაზე ლაპარაკი და ალბათ არც არის საჭირო. ჩვენ მეორე კითხვა უფრო გვაღელვებს — შეძლებენ კი ამ შედეგის განმტკიცებას?

მწვრთნელებს დღეს უჭირთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა; სასროლო სპორტში პროგნოზირებას აზრი არა აქვს, აქ ყველაფერს ხანდახან შემთხვევითობაც კი განსაზღვრავსო. ალბათ ასეც არის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყოველი „შემთხვევითობა" თავისთავად კანონზომიერი მოვლენაა. არა, მწვრთნელს ცრუ ოპტიმიზმი ვერაფერში გამოადგება, მაგრამ ფაქტებისა და მოვლენების სალად გააზრება ხომ აუცილებელია. ფაქტები კი იმას ღაღადებენ, რომ გუნდის მზადებაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. ეს სომხეთის, ბელორუსიისა და აზერბაიჯანის ნაკრებ კოლექტივებთან ჩატარებულმა ამხანაგურმა შეხვედრებმაც დაადასტურა — ჩვენმა მსროლელებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი...

* * *

ზემოთ აკრობატები ვახსენე. ისინი ოცდათორმეტნი არიან, ჩვიდმეტი მათგანი ტაშკენტში იასპარეზებს — რვა გოგონა და ცხრა ჭაბუკი. გუნდის უფროსი მწვრთნელია ნუგზარ ძუკაევი. მასთან ერთად ნაკრებს ამზადებენ სიმონ კრასიკოვი, ვლადიმერ გურგენიძე, ჯუმბერ ლაშხი, ელგუჯა ბითაძე, ანატოლი სლივკოვი და ალექსანდრე თედეევი.

ეშერაში ჩამოსვლამდე აკრობატებმა ლვოვში გაიარეს სასწავლო-საწვრთნელი შეკრება. მწვრთნელები კმაყოფილნი არიან ლვოველთა მასპინძლობით — საუკეთესო სპორტულ ბაზაზე ვარჯიშობდნენ, საცხოვრებელი პირობებიც კარგი ჰქონდათ. ეშერაშიც მშვენიერი დარბაზი გამოუყვეს, ოღონდ ესაა, ადრე დილით და გვიან საღამოს უხდებათ ვარჯიში. სხვა დროს დარბაზი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების განკარგულებაშია.

გუნდში განსაკუთრებით გამოირჩევა გოგონათა სამეული (ნანა კიკალიშვილი, მანანა მნათობიშვილი და მაია შილაგაძე) და ვაჟთა ძალისმიერი წყვილი (სერგეი სისოევი და ალბერტ ზალინიანი). მონდომებით ემზადებიან რუსთაველი გოგონები ელმირა იუსუბოვა და ლიდია ლისტაფოროვა. ისინი მოსწავლეთა XIV საკავშირო სპარტაკიადაშიც მონაწილეობდნენ, ასე, რომ გამოცდილება არ აკლიათ.

ერთი დღე დავყავი აკრობატებთან, ერთი დღე მათი ცხოვრებით ვცხოვრობდი. ის მეგობრული ატმოსფერო, შემართება და ერთსულოვნება, რაც გუნდში სუფევს, გვაფიქრებინებს, რომ ამ გოგო-ბიჭებს ნამდვილად შესწევთ ძალა ღირსეული მეტოქეობა გაუწიონ თავიანთ თანატოლებს.

ი. ბერიშვილი.,
(ჩვენი სპეც. კორ.).
ეშერა — თბილისი.

...წინათ სვერდლოვსკში ...ულ მხატვრულ ტანვარჯი... საერთაშორისო ტურნირში ...ქროს რგოლის" პრიზზე შესანიშნავად იასპარეზა ...ოის ჩემპიონმა, სპორტის ...ურებულმა ოსტატმა, კიე... ირინა დერიუგინამ, იგი აშ... უძლიერესი იყო მრავალჭი... ...ა ცალკეულ სახეობებშიც. ...ირინა გულმოდგინედ ემზა... ევროპის ჩემპიონატისთვის, ...იც მადრიდში გაიმართება. ...ათზე: ი. დერიუგინა.




## ველოსპორტი

### ჯერჯერობით ერთი „ოქრო"

**მიუნხენში** ოლიმპიურ ტრეკზე სტარტი აიღო მორიგმა მსოფლიო ჩემპიონატმა. მედლები უკვე განაწილდა 1000 მეტრზე ადგილიდან რბოლაში. აქ ყველას აჯობა ლ. ტომსმა (გდრ), რომელმაც ტურნირის საუკეთესო შედეგი (1.05,23) აჩვენა. ვერცხლი ერგო კანადელ ჯ. ლოველს — 1.06,28, ბრინჯაო — ტომსის თანამემამულეს რ. ჰონიშს, რომელმაც ლოველთან 0,21 წამი წააგო. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო გახლდათ თბილისელებისთვის კარგად ნაცნობი გ. კუდრიაშოვი — 1.07, 29. მან VIII ადგილი დაიკავა.

საბჭოთა დელეგაციას პირველი ოქროს მედალი მოუპოვა ლენინგრადელმა გ. ცარიოვამ, რომელმაც მოიგო ქალთა სპრინტი, ვერცხლის მედალი ერგო ამერიკელ ს. ნოვარას. ბრინჯაო — ი. ზაიჩკოვას (ჩეხოსლოვაკია).

4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ამ რანგის ტურნირების დებიუტანტი, 19 წლის დ. მაზა (გდრ), რომელმაც ფინალში 4.43,48 აჩვენა და 6 წამი მოუგო თანაგუნდელ ნ. იურპიშს. ბრინჯაოც გდრ-ის ველოსიპედისტს უ. უნდერვალდერს ერგო.

სპრინტში საბჭოთა სპორტსმენებმა ს. კოპილოვმა, ს. ქურავლიოვმა და ვ. რომანცოვმა მერვედფინალში მარცხი იწვნიეს და ახლა „დამამშვიდებელ" რბოლებში ცდიან ძალებს.

## მძლეოსნობა

**ციურიხში** გაიმართა 50-ე ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. საინტერესო დუელი ჰქონდათ უროს მტყორცნელებს, ოლიმპიურ ჩემპიონს ი. სედიხსა (სსრ კავშირი) და მსოფლიო რეკორდსმენს კ.-ჰ. რიმს (გფრ). სედიხმა 79,76 მეტრი აჩვენა და 122 სანტიმეტრით ჩამოიტოვა რიმი. III ადგილი ერგო ვ. დმიტრიენკოს — 75,72 მ. გ. ტროფიმენკომ მოიგო ჭოკით ხტომა. იგი 540 სმ სიმაღლეს გადაევლო. ამერიკელმა რ. ნეჰემიამ 110 მეტრზე თარჯრბენში იუნიორთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 13,23, რაც 0,02 წამით ჩამორჩება კუბელ ა. კასანიას აბსოლუტურ მსოფლიო რეკორდს. ჰ. რონომ მისთვის ჩვეულ სტილში იმარჯვა 5 კილომეტრზე რბენაში — 13.16,12.



ისინი გამოვლენ ტაშკენტში

# გადამწყვეტი სტარტების წინ

ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი საკმაო ხანია ემზადება მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადისთვის. ნორჩ კალათბურთელებს ამ დღეებში ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ვეწვიეთ. გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელები **ს. იმხნელი** და **ი. მხეიძე** მორიგ ვარჯიშს ატარებენ. როცა ვარჯიში დამთავრდა და ბიჭები გასახდელისკენ გაეშურნენ, უფროსი მწვრთნელი სერგო იმხნელი დავიმარტოხელეთ:

— **ჩვენი** რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გულმოდგინედ ემზადება ტაშკენტის სტარტებისთვის, — გვითხრა ს. იმხნელმა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო უკანასკნელ პერიოდამდე ვერ მოხერხდა მთელი გუნდის ერთად შეკრება. ამიტომ შეჯიბრებებში ხშირად წამყვანი მოთამაშეების გარეშე გამოვდიოდით. ახლა ეს საკითხი მოგვარებულია და მზადებაც გადამწყვეტ ფაზაში შედის. ამას წინათ მოლდავეთსა და ესტონეთში გამართულ ტურნირებში მივიღეთ მონაწილეობა და მეორე და მესამე ადგილები დავიკავეთ. ბიჭებმა გააზრებული, ტექნიკური თამაში აჩვენეს, თუმცა, ხარვეზები ჯერ კიდევ საკმაოდ შეიმჩნევა, განსაკუთრებით ფიზიკურ მომზადებაში. ამ დღეებში მინსკის საკავშირო ტურნირზე მოვსინჯავთ ძალებს. შემდეგ კი თბილისში, 25-29 აგვისტოს, აგრეთვე საკავშირო შეჯიბრებაზე, სადაც ჩვენი ქვეყნის ექვსი უძლიერესი გუნდი გამოვა. მერე აქვე (8 სექტემბრამდე) ჩავატარებთ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას, საბოლოოდ კი ფრუნზეს ტურნირში ვიასპარეზებთ, ვფიქრობთ, ეს აკლიმატიზაციის თვალსაზრისითაც სასარგებლო იქნება. სპარტაკიადაზე საასპარეზოდ ტაშკენტში კალათბურთელთა შეჯიბრების დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩავალთ, უშუალოდ ბრძოლაში კი 20 სექტემბერს ჩავებმებით.

— როგორ გამოიყურება ნაკრები სადღეისოდ?

— როგორც ზემოთ აღვნიშნე, გუნდის სრული შემადგენლობა მხოლოდ ერთი თვის წინ შევკრიბეთ, შეთამაშებისთვის კი ერთი თვე ძალზე ცოტაა. რასაკვირველია, მზადების ამ ეტაპზე ყველა მოთამაშე თანაბრად არ არის მომზადებული — ზოგი ფიზიკურ მომზადებაში მოიკოჭლებს, ზოგიც ტექნიკაში, მაგრამ დარჩენილ დროში ვეცდებით შეძლებისდაგვარად აღმოვფხვრათ აღნიშნული ხარვეზები. აქვე უნდა ითქვას, რომ ნაკრებს საიმედო რეზერვი ჰყავს, ამას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

— როგორც ცნობილია, გასულ სპარტაკიადაზე ლვოვში, ჩვენმა ნაკრებმა V ადგილი დაიკავა. იმ შემადგენლობიდან შემდგომში თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში მიიწვიეს ზ. გრძელიძე, რ. გარუჩავა, შ. სინჯარაძე და კ. ლომიძე. რას გვეტყვით ამჟამინდელ გუნდის წევრთა პერსპექტივებზე?

— ჩვენს გუნდშიც არიან მოთამაშეები, რომლებსაც უახლოეს მომავალშიც შეუძლიათ ადგილი დაიკავონ ოსტატთა გუნდებში, თუ, რა თქმა უნდა, მონდომებითა და თავდაუზოგავად ივარჯიშებენ. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: გ. დარსაძე, ა. ვაშალომიძე, პ. გელბახიანი და ა. ბელოზიორსკი. ეს უკანასკნელი 205 სმ სიმაღლისაა. დიდ იმედებს ვამყარებთ, აგრეთვე, გ. დერიუგინზეც (196 სმ), იგი ჯერ კიდევ 15 წლისაც არ არის, ასე, რომ ყველაფერი წინ აქვს. ახლა ძნელია იმაზე ლაპარაკი, თუ რომელ ადგილს დაიკავებს ჩვენი გუნდი ტაშკენტში, მაგრამ იმის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რომ ბრძოლა საპრიზო ადგილებისთვის ძალზე ძნელი იქნება. ჯერ ქვეჯგუფში მოგვიწევს შეხვედრები მოსკოვისა და ლატვიის ძლიერ კოლექტივებთან. მათ გარდა ჩვენს ჯგუფში გამოდიან თურქმენეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ სპარტაკიადაში კარგად გამოვიდეთ.

**ზ. თათეიშვილი.**







**20 ათასი** უცხოელი და 100 ათასზე მეტი საბჭოთა ტურისტ[ი] ... ეწვევა წლეულს ბაიკალს — ერთ-ერთ ულამაზეს ტბას მსოფლიოში.

**სურათებზე:** ბაიკალის ტბაზე.

საქდესის ფოტო...





# ნავლენ, მაგრამ რას ჩამოიტანენ?

**მოკავშირე** რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა საკავშირო ჩემპიონატი — „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზების გათამაშება წლეულს მეხუთედ გაიმართება. უდავოა, ამ ტურნირმა ხელი შეუწყო სპორტის ამ ახალი მრავალჭიდის განვითარებას.

როგორც ცნობილია, „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზების გათამაშება რამდენიმე ეტაპად ეწყობა და მის პირველ ეტაპს სწორედ ფიზკულტურის კოლექტივების მასობრივი შეჯიბრებები წარმოადგენს.

მაგრამ საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, მშენებლობათა ფიზკულტურულ კოლექტივებში, სპორტკლუბებში მშდ კომპლექსის განვითარებისთვის მუშაობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ამ ორგანიზაციებს დახმარების ხელი გაუწოდა გაზეთ „ტრუდის“ რედაქციამ, რომელმაც შარშან პირველად ჩაატარა სპორტკლუბების, ფიზკულტურის კოლექტივების მრავალჭიდელთა პირად-გუნდური საკავშირო პირველობა, ოღონდ შეჯიბრებების პროგრამაში შეიტანეს, აგრეთვე ორგანიზაციებში მშდ მრავალჭიდის და, საერთოდ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ამსახველი მასალების (ფოტოალბომები, მოკლემეტრაჟიანი ფილმები, სტენდები, მრავალტირაჟიანი გაზეთები...) კონკურსი. ამ უკანასკნელის მიზანია მშდ მრავალჭიდის, გამაჯანსაღებელი ღონისძიებების პროპაგანდის როლის ამაღლება.

წლეულს „ტრუდის“ ტურნირი მეორედ ეწყობა. ფინალურ ასპარეზობას, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ აიღებს სტარტს, წინ უძღოდა რესპუბლიკური და ზონალური შეჯიბრებები.

საქართველოს პროფსაბჭოს მიერ გამართულ რესპუბლიკურ ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 22 კოლექტივმა, უფრო მეტმა, ვიდრე შარშან. ყველა მათგანი სტარტზე 6-6 მონაწილით უნდა გამოსულიყო, რადგან მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ძალებს სცდიან მხოლოდ IV საფეხურის ორივე ასაკობრივი ჯგუფისა და V საფეხურის ნიშნოსანი ქალები და ვაჟები.

მაგრამ... თორმეტმა კოლექტივმა გუნდების სრულად დაკომპლექტება ვერ შეძლო. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდამ“ კი მხოლოდ 4 ნიშნოსანს მოუყარა თავი. ისე, რომ განაცხადების მიხედვით სტარტზე 117 ფიზკულტურელი უნდა გამოსულიყო. სინამდვილეში ბრძოლებში ჩაება 81 კაცი (?!) სამდღიანი ასპარეზობის ფინიშთან კი 41 მოასპარეზე ძლივს მივიდა.

შედეგები უმეტესად უხეიროა. ხუთი გუნდი ამაოდ გაისარჯა. თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ სპორტკლუბ „ივერიის“, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის, სამტრედიის რკინიგზის განყოფილების სპორტკლუბ „იმერეთისა“ და ახმეტის კოლმეურნეობის გუნდების წევრთაგან თითო მშდ კომპლექსის ნიშნოსანიც კი არ აღმოჩნდა ისეთი, ყველა სახეობაში ჩათვლა რომ მიეღო, ამიტომაც ამ გუნდებმა „0“ ქულით ბოლო ადგილები დაიკავეს.

რესპუბლიკის ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტკლუბების მნიშვნელოვან ნაწილს შარშანდელი ტურნირის შედეგებიდან სათანადო დასკვნები რომ არ გამოუტანიათ, შემდეგიდანაც ჩანს: შრომით კოლექტივებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მშდ კომპლექსის პროპაგანდის ამსახველი მასალები ბევრს არ აღმოაჩნდა. ამ კონკურსში გამარჯვება მიეკუთვნა თბილისის სპორტკლუბ „ელმავლის“ ალბომს. შესანიშნავი იყო ხელვაჩაურის რაიონის ანგისის მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში ფიზკულტურის პროპაგანდის ამსახველი ფოტო-სტენდი. ჟიურის მოწონება ხვდა, აგრეთვე ზათუმის ნავსადგურის ფიზკულტურული ორგანიზაციის ნამუშევარს.

ყველა ეს კრიტიკული ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ რესპუბლიკის დიდი საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოები თუ სპორტკლუბების გამგეობები ჯერ კიდევ ჯეროვნად არ ზრუნავენ მშდ კომპლექსის მრავალჭიდის განვითარებისთვის, მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მასობრივად დანერგვისა და, საერთოდ, ფიზკულტურისა და სპორტის აგიტაცია-პროპაგანდის სრულყოფილი ფორმების გამონახვისთვის.

იქნებ პირადი ტურნირის პრიზიორთა შედეგები მაინც იყო მაღალი? არა! I თანრიგის ნორმატივი მხოლოდ სამმა ნიშნოსანმა შეასრულა და სამივემ მეოთხე საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში: ი. ამოსოვამ (101 ქულა), ე. გორგოძემ (ორივე — ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობა) — 112 ქულა და ზ. ბექაშვილმა (სპორტკლუბი „სინათლე“) — 114. ეს ძალიან ცოტაა.

ემზარ გორგოძე საქართველოს ნაკრების წევრია და ბევრჯერ რესპუბლიკის სპორტული ღირსება წარმატებით დაუცავს, ახლა კი მისთვის შეუფერებელი შედეგით II ადგილს დასჯერდა.

ორიოდე თვის წინ, მას სროლაში შედეგების გაუარესებისთვის უსაყვედურეს. გაირკვა, რომ შაშხანით ვარჯიშები აკლდა. ეტყობა, სპორტსმენს ამ ხარვეზის გამოსწორებისთვის ჯერ არ მოუცლია, არადა, საკავშირო ჩემპიონატამდე ბევრი დრო როდია.

განსაკუთრებით დაბალია ქალთა შედეგები. თუ IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში ამოსოვას გარდა ტ. მიასოედოვამ (კავ... სიის სოფლმშენის საპროექტო ...სტიტუტი) და ტ. კორობკინამ (... ნათლე“), ასე თუ ისე, დამაკმა... ფილებელი მაჩვენებელი (95-... ქულა) მოიპოვეს (მათი პირადი ... კორდები გაცილებით მაღა... მეორე ასაკობრივ ჯგუფისა და ... საფეხურის ნიშნოსნებზე ამას ... ვიტყვით.

მეორე ასაკობრივ ჯგუფში ... ტო ტ. პუსტოვიტმა (თბილ... ელმავალმშენებელი ქარხნის ს... რტკლუბი „მეგობრობა“) შე... III თანრიგის ნორმატივს ... დომოდა (51 ქულა აჩვენა), უფ... სებში კი ფინიშამდე მხოლოდ ... ნი — ე. ზული (ვარკეთილი) 69 ქულა და პ. ჩინჩალაძე (... თავის სპორტკლუბი „ფოლ... — 55) მივიდნენ.

ვაჟთა შორის IV საფეხურის ... ორე ასაკობრივ ჯგუფში უძლიე... სი იყო ვ. სუხინენკო („მეგობრო... ბა“) — 98. მას გაგრელი ა. ... რეველი 15 ქულით ჩამორჩა ... II ადგილი დაიკავა. V საფეხურ... ის ნიშნოსნებში იმარჯვა ტყი... ლის ვ. ლენინის სახელობის ... ტის გუნდის წევრმა გ. ძოწენ... — 87 ქულა.

გუნდურ ტურნირში სოფ... კოლექტივებს შორის გამარჯვე... ლმა ვარკეთილის საბჭოთა მეუ... ნეობის გუნდმა აბსოლუტურად ... უკეთესო შედეგი (376 ქულა) მ... პოვა. საწარმოთა კოლექტივე... პირველობა მოიგო „მეგობრობ... — 296 ქულა. ეს ორი ნაკრები ... იღებს მონაწილეობას „ტრუდ... პრიზების საკავშირო გათამაშებ...

**ო. გელაშვილ...**

* * *

**სურათებზე:** V საფეხუ... ნიშნოსანთა შეჯიბრება 60 მეტ... ზე; სტარტი ცურვაში.

ავტორის ფოტო...





## ფეხბურთი

## პირველი ლიგა

**17 აგვისტოს** შედგა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი, 26-ე ტურის მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები დონის როსტოვში შეხვდნენ ადგილობრივ არმიელებს და დამარცხდნენ — 0:1.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „შინიკი" (იაროსლავლი) — „კუზბასი" (კემეროვო) 5:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:2, „დინამო" (მინსკი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „პამირი" (დუშანბე) 3:0, ასკ (ოდესა) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 2:0, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 3:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ." | 25 | 14 | 8 | 3 | 34—16 | 36 |
| „დინ." მნ. | 25 | 11 | 9 | 5 | 33—22 | 31 |
| ასკ რ. | 24 | 10 | 11 | 3 | 40—23 | 31 |
| „ყუბანი" | 25 | 11 | 8 | 6 | 35—25 | 30 |
| „ნისტრუ" | 25 | 11 | 7 | 7 | 32—21 | 29 |
| „კარპატი" | 22 | 11 | 6 | 5 | 32—21 | 28 |
| „ჟალგირ." | 24 | 7 | 12 | 5 | 26—22 | 26 |
| „თერგი" | 24 | 10 | 5 | 9 | 32—33 | 25 |
| „კუზბასი" | 25 | 9 | 7 | 9 | 27—33 | 25 |
| „ტორპედო" | 24 | 9 | 6 | 9 | 26—24 | 24 |
| „ტავრია" | 24 | 8 | 8 | 8 | 29—24 | 24 |
| „შინიკი" | 23 | 8 | 7 | 8 | 25—23 | 23 |
| „სპარტ." ი.-ფ. | 25 | 9 | 4 | 12 | 26—38 | 22 |
| ასკ ოდ. | 25 | 7 | 8 | 10 | 28—33 | 22 |
| „პამირი" | 25 | 5 | 12 | 8 | 26—27 | 22 |
| „დინ." ლ. | 25 | 6 | 9 | 10 | 35—40 | 21 |
| „მეტალ." | 24 | 5 | 11 | 8 | 22—30 | 21 |
| „ურალმაში" | 25 | 5 | 8 | 12 | 17—33 | 18 |
| „კოლხოზჩი" | 25 | 5 | 6 | 14 | 19—38 | 16 |
| „სპარტ." ორ. | 24 | 5 | 4 | 15 | 17—35 | 14 |

●

## მეორე ლიგა

**17 აგვისტოს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „დინამო" (ზუგდიდი) — „დინამო" (სოხუმი) 3:1

ბოლო 3 ტურში ზუგდიდის დინამოელებმა მაღალი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს, კარგი თამაში აჩვენეს და 5 ქულა აიღეს. მოსალოდნელი იყო, რომ აღმავლობის გზაზე მყოფი გუნდი იოლ გამარჯვებას მოიპოვებდა გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერთან — სოხუმელ თანაკლუბელებთან. მართალია, მასპინძლებმა ეს ამოცანა შეასრულეს, მაგრამ 2 ქულის აღებას დაჭირდა ძალების სრული მობილიზება, მთელი ენერგიით თამაში.

მატჩი სტუმრების იერიშებით დაიწყო, შემდეგ კი საპასუხო შეტევები განავითარეს ზუგდიდელებმა. მე-19 წუთზე სოხუმელებმა კვლავ შეუტიეს და ბოხაშვილმა ზუსტი, ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

საპასუხო გოლი შესვენების შემდეგ გაიტანა ნაჭყებიამ. ამის შემდეგ სოხუმელთა კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, რომელთაგან ერთ-ერთი იმავე ნაჭყებიამ დაამთავრა მეორე გოლით — 2:1.

ამ პერიოდისთვის ბრძოლამ უკიდურესად დაძაბული ხასიათი მიიღო. სოხუმელები ყველაფერს აკეთებდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ როცა წულაიამ მესამედ შეძლო სტუმრების კარის აღება, შეხვედრის ბედი პრაქტიკულად გადაწყდა კიდეც.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად მიჩნეული იქნენ სოხუმელი ბოხაშვილი და ზუგდიდელი თუთბერიძე.

**გ. ალშიბაია.**

### „დილა" (გორი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0

ამ მატჩმა ცხადყო, რომ გორის „დილას" გაცილებით უფრო უკეთესი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია, ვიდრე მისი ახლანდელი სატურნირო მდგომარეობაა. „დილა" შეეცადა არაფერი დაეთმო ზონის ერთ-ერთი ლიდერისთვის და დასაწყისიდანვე შეუტია მეტოქეს. ლანჩხუთელთა დაცვას და მეკარე მაყაშვილს არაერთი სახიფათო შეტევის მოგერიება მოუხდათ.

შესვენების შემდეგ „გურიამ" სცადა შეექმნა კონტრთამაში, მაგრამ 76-ე წუთზე მასპინძლებმა კვლავ შეუტიეს, კომბინაცია წამოიწყო ბუზალაძემ და დაამთავრა მელაძემ — 1:0. „დილამ" ამ ანგარიშით მიაღწია გამარჯვებას.

სამწუხაროდ, მატჩის მსვლელობაში ადგილი ჰქონდა უხეშობას, რისთვისაც ქუთაისელმა არბიტრმა დ. აბუთიძემ მინდვრიდან გააძევა ლანჩხუთელი ხოფერია, ხოლო გორგილაძეს გაფრთხილება მისცა.

**ი. თევდორაშვილი.**

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „შირაკი" (ლენინაკანი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „არაზი" (ნახიჩევანი) 0:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „ხაზარი" (ლენქორანი) 2:0, „ავტომობილისტი" (ბაქო) — „ტურბინა" (ნაბერეჟნიე ჩელნი) 1:2, „ტორპედო" (ტოლიატი) — „პროგრესი" (კიროვაბადი) 4:1, „გასტელო" (უფა) — „გაზოვიკი" (ორენბურგი) 4:0, „ზენიტი" (იჟევსკი) — „დრუჟბა" (იოშკარ-ოლა) 0:2, „ზვეზდა" (პერმი) „დინამო" (კიროვი) 2:1, „რუბინი" (ყაზანი) — „ურალეცი" (ნიჟნი ტაგილი) 3:1, „დინამო" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზვეზდა" | 30 | 18 | 5 | 7 | 44—22 | 41 |
| „შირაკი" | 30 | 14 | 9 | 7 | 51—28 | 37 |
| „კოტაიკი" | 30 | 16 | 3 | 11 | 39—38 | 35 |
| „დინ." ზ. | 30 | 13 | 9 | 8 | 40—25 | 35 |
| „რუბინი" | 30 | 13 | 8 | 9 | 37—29 | 34 |
| „ზენიტი" | 30 | 11 | 12 | 7 | 35—26 | 34 |
| „დრუჟბა" | 30 | 15 | 3 | 12 | 42—30 | 33 |
| „გურია" | 30 | 13 | 7 | 10 | 48—33 | 33 |
| „ტორპედო" | 30 | 13 | 7 | 10 | 39—27 | 33 |
| „ტურბინა" | 30 | 14 | 4 | 12 | 33—37 | 32 |
| „დინ." ბ. | 30 | 12 | 8 | 10 | 33—26 | 32 |
| „ავტომობ." | 30 | 13 | 5 | 12 | 37—41 | 31 |
| „ლოკომოტ." | 30 | 12 | 6 | 12 | 42—44 | 30 |
| „დინ." კრ. | 30 | 12 | 6 | 12 | 38—32 | 30 |
| „გასტელო" | 30 | 12 | 6 | 12 | 35—36 | 30 |
| „ყარაბახი" | 30 | 11 | 7 | 12 | 32—29 | 29 |
| „დილა" | 30 | 9 | 11 | 10 | 29—28 | 29 |
| „დინ." ს. | 30 | 11 | 6 | 13 | 43—47 | 28 |
| „გაზოვიკი" | 30 | 11 | 6 | 13 | 35—35 | 28 |
| „ურალეცი" | 30 | 11 | 5 | 14 | 35—40 | 27 |
| ფიზკ. ინსტ. | 30 | 8 | 11 | 11 | 25—31 | 27 |
| „პროგრესი" | 30 | 10 | 3 | 17 | 26—49 | 23 |
| „ხაზარი" | 30 | 8 | 4 | 18 | 25—51 | 20 |
| „არაზი" | 30 | 2 | 5 | 23 | 17—75 | 9 |

## საერთაშორისო მატჩები

**ბონი.** მორიგი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა. მათ ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ქ. ოლდენბურგის ნაკრები. სპარტაკელთაგან ბურთები გაიტანეს კალაშნიკოვმა, გავრილოვმა და ბუკიევსკიმ.

**მოსკოვის** დინამოელები სოჭში შეხვდნენ რუმინეთის ჩემპიონატის მესამე პრიზიორს — „პოლიტეხნიკას" (ტიმიშოარა) და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს გერშკოვიჩმა და კაზაჩონოკმა.

## თასიდან თასისკენ

**უკანასკნელ** წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა ფეხბურთს. რაც შეეხება შუალედურ რგოლს, რომელიც მას დიდ ასპარეზთან აკავშირებს, აქ მდგომარეობა შედარებით არასტაბილურია, რადგან კარგი მონაცემის მქონე ბევრი მოზარდი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სისტემატურად არ ვარჯიშობს და ამის გამო დიდ შესაძლებლობებს ვკარგავთ.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოცდილება, სადაც ფეხბურთს ტრადიციულად დიდ პატივს სცემენ.

შემთხვევითი არ არის ის გამარჯვება, რომელიც სტუდენტმა ფეხბურთელებმა წლეულს მოიპოვეს: მათ ჩვენი ქალაქის თასი დაისაკუთრეს და რესპუბლიკის თასისათვის ბრძოლას განაგრძობენ:

— ინჟინერთა სამჭედლო ოდითგან პერსპექტიული ფეხბურთელების აღმზრდელიც იყო! — გვეუბნება საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ავთანდილ ჭკუასელი. — თამაზ სტეფანია, დავით გოგია, ფირუზ კანთელაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ძმები მაჩაიძეები, ძმები ნოდიები, სერგო კუტივაძე, დავით ყიფიანი, ახალიც — უკვე პერსპექტიული მოთამაშე ილია რუხაძე... — მრავალმა სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა სწორედ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აიდგა ფეხი. შოთა იამანიძეც ხომ ინჟინერთა სამჭედლოს ერთ-ერთი წარჩინებული სტუდენტი იყო. ინსტიტუტში ახლაც ქებით იხსენიებენ მის სადიპლომო ნაშრომს, რომელიც მშვენიერმა ინჟინერმა თავის საყვარელ დარგს — ფეხბურთს დაუკავშირა.

— პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფრთებშესხმული ფეხბურთელი პირველი ლიგის გუნდებშიც ბევრი თამაშობს, — სიტყვას ურთავს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კარლო ყრუაშვილი და გვიამბობს ინსტიტუტის ფეხბურთელთა კოლექტივის დიდ ტრადიციებზე, მათი მწვრთნელის ომარ ურთმელიძის ნაყოფიერ მუშაობაზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც ამჟამად სტუდენტი სპორტსმენების წინაშე დგას.

წლეულს გუნდი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

როგორი იქნება შედეგები?

ვნახოთ!

ბურთი მრგვალია და შედეგებს თამაში გვიჩვენებს.

ისე კი ერთი რამ ცხადია, — ის სიყვარული, რომლითაც ინსტიტუტში სპორტს, მათ შორის ფეხბურთისადმი იჩენენ, წარმატებათა გარანტიაა!

**ა. კლდიაშვილი.**

## კვლავ გამარჯვება

**ზაპოროჟიეში** „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშებაში უმცროსი ასაკის (10-11 წელი) ფეხბურთელთა მეორე ქვეჯგუფს კვლავ თბილისის „დილა" (მწვრთნელი ნ. აკობია) ლიდერობს. მორიგ, მესამე ტურში მან დამაჯერებელი გამარჯვება (3:0) მოიპოვა თავის ძირითად მეტოქესთან — ყაზახეთის ქალაქ ჯამბულის „ზარიასთან".

## საქართველოს ჩემპიონატი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„სპარტაკი" (თბილისი) — „ნადიკვარი" (თელავი) 0:1. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).**

თანაბარი ბრძოლის ბედი გადაწყვიტა გოლმა, რომელიც სპარტაკელმა რაზმაძემ გაიტანა საკუთარ კარში.

**„იბერია" (ქარელი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:4. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).**

ექვსივე ბურთი ამ მატჩში გატანილი იქნა მეორე ტაიმში. გამარჯვებულთაგან 2 გოლი ექუთვნის გვალიას, თითო — სანაიას და ქორიძეს, ხოლო მასპინძელთა მხრივ — გონგლიაშვილს და კაბელიშვილს.

**„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „კოლხეთი" (ხობი) 2:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

ორივე კართან შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტის მიუხედავად, შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა. მეორე ნახევარში მასპინძლებმა გააძლიერეს იერიშები და გაიმარჯვეს კიდეც (მიქელაძე, წრუიძე).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:1. მსაჯი გ. ქიქავა (თბილისი).**

**„ივერია" (ხაშური) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ზ. ზუმბაძე (ახალციხე).**

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).**



ანგარიში ტაიმის დასასრულს გახსნა ზესტაფონელმა ჭიჭინაძემ. შემდგომში ინიციატივას დაეუფლნენ მასპინძლები, საპასუხო გოლი გაიტანა ჩხვირკიამ, ხოლო გადამწყვეტი — გუჩუამ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" ფ. | 29 | 19 | 7 | 3 | 65—23 | 45 |
| „მეტალ." რ. | 27 | 19 | 4 | 4 | 46—18 | 42 |
| „მზიური" | 27 | 16 | 5 | 6 | 44—25 | 37 |
| „მეშახტე" | 24 | 16 | 4 | 4 | 38—17 | 36 |
| „ენერგეტ." | 29 | 13 | 7 | 9 | 39—31 | 33 |
| „მერცხალი" | 24 | 11 | 10 | 3 | 37—19 | 32 |
| „მადაროელი" | 24 | 13 | 4 | 7 | 42—30 | 30 |
| „კოლხეთი" ხ. | 28 | 9 | 10 | 9 | 25—26 | 28 |
| „ნადიკვარი" | 29 | 9 | 10 | 10 | 35—37 | 28 |
| „ჩიხურა" | 27 | 10 | 7 | 10 | 37—29 | 27 |
| ასკ თბ. | 25 | 9 | 9 | 7 | 29—24 | 27 |
| „ამირანი" | 28 | 10 | 7 | 11 | 26—36 | 27 |
| „სპარტ." თბ. | 27 | 10 | 6 | 11 | 32—32 | 26 |
| ფიზკ. ინსტ. | 29 | 11 | 4 | 14 | 35—55 | 26 |
| პოლ. ინსტ. | 29 | 11 | 3 | 15 | 45—46 | 25 |
| „ივერია" ხ. | 29 | 9 | 7 | 13 | 21—34 | 25 |
| „სქური" | 26 | 8 | 5 | 13 | 38—36 | 21 |
| „მეტალ." ზ. | 26 | 6 | 8 | 12 | 33—38 | 20 |
| „სალხინო" | 24 | 6 | 8 | 10 | 28—44 | 20 |
| „დურუჯი" | 26 | 8 | 2 | 16 | 20—39 | 18 |
| „სპარტ." ცხ. | 26 | 5 | 7 | 14 | 29—38 | 17 |
| „[illegible]" | 28 | 4 | 9 | 15 | 20—40 | 17 |
| „იბერია" ქ. | 29 | 4 | 5 | 20 | 21—68 | 13 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

„თრიალეთი" (წალკა) — „გიგანტი" (გამარჯვება) 9:2, „არაგვი" (მცხეთა) — „ცისკარი" (სიღნაღი) 2:0, „მესხეთი" (ახალციხე) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 5:0, „ფიჩხოვანი" (ახმეტა) — „გარისი" (თეთრი წყარო) 4:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 6:6, „გარეჯი" (საგარეჯო) — „განთიადი" (თბილისი) 2:1. ბოლნისის „სიონს" გამარჯვება ჩაეთვალა თიანეთის „იორთან".

#### II ზონა

„სამგურალი" (წყალტუბო) — „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) 1:0, „ოჯალეში" (ბანძა) — „ავტომობილისტი" (აბაშა) 2:3, „[illegible]" (ტყიბული) — „სენაკი" (ცხაკაია) 1:0, „[illegible]" (ზუგდიდი) — „[illegible]" (მახარაძე) 5:0, „[illegible]" (ჩხოროწყუ) — „მომსხმელი" (ბორჯომი) 2:3, „სულორი" (ვანი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:0.

### საჯარიმო დარტყმა

არ შეიძლება არ აღინიშნოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელის გ. ბახტაძის ყოვლად უმგვანო საქციელი. იგი ერთ-ერთ მატჩში გაძევებული იყო მინდვრიდან, შემდეგ ტურებში კი ორი გაფრთხილება მიიღო. წესრიგის სისტემატურ დამრღვევთა მიმართ მიღებული უნდა იქნას საგანგებო ზომები.

გაფრთხილებული არიან შემდეგი მოთამაშეები: გ. კეჟეუმაძე („ღრმაღელე", ლანჩხუთი), ვ. ჯანჯღავა („სენაკი", ცხაკაია), მ. ქობულია და ვ. ხაჩიძე („შუქურა", ქობულეთი), თ. სულაბერიძე („სულორი", ვანი), მ. პენდერავა („ამირანი", ოჩამჩირე), ვ. გურგენიძე („მეტალურგი", ზესტაფონი), ვ. არჩვაძე („სპარტაკი", თბილისი).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

* * *

**სურათზე:** თბილისის „სპარტაკისა" და თელავის „ნადიკვარის" შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

---

### ხუთი რგოლის ემბლემით

## ორი ფოტოპული

**1964** წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე პირველად შეიქმნა ე. წ. ფოტოპული — ფოტორეპორტიორთა საკმაოდ განსაზღვრული ჯგუფი, რომელსაც უფლება აქვს გადაიღოს ოლიმპიადა უშუალოდ სარბიელზე — (დანარჩენები შეჯიბრებას ტრიბუნებიდან იღებენ). პულის მიერ გადაღებული სურათები მისი წევრების საერთო კუთვნილება ხდება. ისინი კი თავის მხრივ ამ ნამუშევრებით ამარაგებენ კლიენტებს მსოფლიოში.

ტრადიცია არ იქნება დარღვეული მოსკოვის ოლიმპიადაზეც, რისთვისაც ამას წინათ „ოლიმპიადა — 80"-ის საორგანიზაციო კომიტეტში გაიმართა სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოების ფოტორედაქტორებისა და ფოტოჯგუფების ხელმძღვანელთა საგანგებო შეხვედრა. გადაწყდა, რომ საერთაშორისო ფოტოპულს, რომელსაც რიგის მიხედვით ამჯერად იუპი-ს სააგენტოს წარმომადგენელი უხელმძღვანელებს, სულ 24 ფოტორეპორტიორი ეყოლება. ამდენივე „გადამღები ერთეული" ეყოლება ტრადიციულ ეროვნულ ფოტოპულსაც (მას საქდესი ჩაუდგება სათავეში), რომელშიც შევლენ საქდესის, აას-ის და ზოგიერთი ცენტრალური გაზეთის რეპორტიორები. ეროვნული ფოტოპული ოლიმპიური სურათებით დააკმაყოფილებს თავისი ქვეყნის პრესას და აგრეთვე თამაშებზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს (გარკვეული გადასახადით). საერთაშორისო ფოტოპულის შტაბ-ბინა იქნება საგანგებოდ მომზადებული ადგილები ოლიმპიადის მთავარ პრეს-ცენტრში ზუბოვის ბულვარზე, ხოლო ეროვნულისა — საქდესის ფოტოქრონიკა. ორივე ფოტოპულს შორის დამყარდება მჭიდრო კავშირი ფოტოსურათების ურთიერთგაცვლის მიზნით.

## ჭადრაკი

### მწვავე პოზიციაში

**ბაგიოში** (ფილიპინები) მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში მოეწყო XIII პარტია.

მესამედ გათამაშდა ლასკერის გამბიტი. დასაწყისი 6 სვლა ისეთივე იყო, როგორც ამ მატჩის პირველ პარტიაში, მაგრამ შემდგომ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა.

მე-15 სვლის შემდეგ მეტოქეებმა დაამთავრეს ძალების მობილიზაცია და ხანგრძლივი პოზიციური მანევრირება დაიწყეს. დაძაბულობამ განსაკუთრებით იმატა თამაშის ბოლო, მეხუთე საათზე. 32-ე სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა გაამწვავა პოზიცია და განახორციელა პაიკებით მეფის ფრთის გარღვევა.

პარტიის გადადებამდე პრეტენდენტმა ხარისხის შეწირვა განახორციელა.

აი როგორ მიმდინარეობდა პარტია:

**კორჩნოი — კარპოვი**

**ლასკერის გამბიტი**

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. მf3 d5 4. d4 კe7 5. კg5 h6 6. კh4 0-0 7. ეc1 b6 8. კ:f6 კ:f6 9. cd ed 10. g3 c6 11. კg2 კf5 12. 0-0 ლd6 13. e3 მd7 14. მe1 ეfe8 15. მd3 g6 16. მf4 კg7 17. g4 კe6 18. h3 მf8 19. მ:e6 მ:e6 20. ლd3 ეad8 21. ეc2 მc7 22. მa4 ლd7 23. b3 ეe6 24. მc3 ეd6 25. b4 კf8 26. მe2 b5 27. ლb3 მa8 28. a4 ba 29. ლ:a4 მb6 30. ლb3 ეb8 31. მf4 მc4 32. ლa4 f5 33. gf ლ:f5 34. ლ:a7 ე:b4 35. ეa2 ლc8 36. ეc1 ეb7 37. ლa4 ეf7 38. ე:c4 dc 39. ლ:c4 ლf5 40 მb3 კg7 და ამ პოზიციაში პარტია გადაიდო.

**ხვალ** ბაგიოში ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩზე უნდა დამთავრებულიყო XIII პარტია. მაგრამ პრეტენდენტმა „წუთ-შესვენება" აიღო. ამ პარტიის დამთავრება კვირას მოეწყობა. შაბათს კი, რეგლამენტის თანახმად, უნდა გაიმართოს XIV პარტია.

### მეშვიდე საერთაშორისო

**ესპანეთის** ქალაქ მონტილიაში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა მეშვიდე საერთაშორისო ტურნირი — „მონტილია — მორილესი". მონაწილეობენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბ. სპასკი, ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ე. მაილსი (ინგლისი), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ვ. ჩოკილტია (რუმინეთი), ესპანელები ხ. ბელონი, ფ. ვიზიერი და სხვ. პირველ ტურში სპასკიმ მოუგო ვიზიერს, ხოლო მეორეში დამარცხდა მაილსთან. ტურნირის მოულოდნელობა იყო ჰორტის დამარცხება ბელონთან. შეჯიბრება 26 აგვისტომდე გასტანს.



**ეს მოჭადრაკე** ბაქოელი მოსწავლეა, 15 წლის ჰარი კასპაროვი. მან ამას წინათ დაუგავპილსში გამართულ სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის მასობრივ შესარჩევ ტურნირში, რომელშიც 63 მონაწილე იყო, I ადგილი დაიკავა და ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში (თბილისი, 1-27 დეკემბერი) თამაშის უფლება მოიპოვა. პირველად სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში მონაწილეთა შორის 15 წლის ჭაბუკი იქნება.

ჰ. კასპაროვი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ბოტვინიკის დაუსწრებელი სკოლის აღსაზრდელია. ლეგენდარული დიდოსტატი ბაქოელ მოჭადრაკეს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

**დღეს** შვეციის ქალაქ იონჩოპინგში იწყება თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო პირველობა. ეს ქალაქი ერთხელ მასპინძლობდა 1967 წელს მსოფლიოს უძლიერეს ხუთჭიდელებს. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ლვოველი პ. ლედნიოვი, სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი ვ. ნეფედოვი, კრასნოდარელი ო. ბულგაკოვი და ფრუნზელი ა. ტარევი. ერთდროულად მიმდინარეობს იუნიორთა მსოფლიო პირველობაც. საბჭოთა „კვარტეტი" ამ შეჯიბრებაზე წარმოდგენილია დუშანბელი ა. სტაროსტინით, ფრუნზელი ვ. კაზაკოვით, კიეველი ს. ვასალჩენკოთი და ალმაათელი ტ. დოსიმბეტოვით.

### „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" 32-ე ტირაჟებისა, რომლებიც 12 აგვისტოს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტოს" 6 — 49-დან მოგებები ასეთია:

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 5657 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 119, ოთხისთვის — 94, სამისთვის — 4.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 6508 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 98, ოთხისთვის — 73, სამისთვის — 4.

„სპორტლოტოს" 5 — 36-დან მოგებები ასეთია:

**პირველი.** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 6256 მანეთია, ოთხისთვის — 78, სამისთვის — 5.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის — 170, სამისთვის — 6.

„სპორტლოტოს" 32-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 23 აგვისტოდან 23 სექტემბრის ჩათვლით.

## თანამედროვე ხუთჭიდი

ამ ტურნირში გამოვლენ ქალ-[illegible] პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მარშან გაიმართა. თა[illegible] საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა შემდეგი ჩემპიონატების განრიგი. 1981 წელს მსოფლიო პირველობას პოლონეთი უმასპინძლებს, 1982 წელს — რუმინეთი, 1983 წელს კი გფრ. რაც შეეხება იუნიორთა პირველობას, 1980 წელს იგი ესპანეთში ჩატარდება, მერე მისი მასპინძლები იქნებიან საფრანგეთი, ინგლისი და აშშ.

## შაში

**ტაშკენტში** გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი ძაუჯრიან შაშში გაზეთ „პრავდა ვოსტოკის" პრიზზე. გაიმართა კიდევ ორი ტური. შესანიშნავად თამაშობს სსრ კავშირის ჩემპიონი, ვილნიუსელი რ. ვიტკაუსკაიტე. მან ორი გამარჯვება მოიპოვა: დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი ი. მალენკოვა და პოლონელი რ. კაჩინსკა. უკანასკნელი ორი ტურის წინ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: რ. ვიტკაუსკაიტეს 10,5 ქულა აქვს, ლენინგრადელ გ. კუზნეცოვასა და მოსკოველ ე. მიხაილოვსკაიას 10-10. მომდევნო ადგილებზე არიან ტაშკენტელი ო. ახმედოვა, ჰოლანდიელი ბ. გრაასი, კაუნასელი ლ. მარკიავიჩენე და ლენინგრადელი ი. სპასკაია — 8-8 ქულა.

### სპორტსმენთა დასახმარებლად

**პარიზი.** ქალაქ სენტ-ეტიენში შეიქმნა საფრანგეთში პირველი სპორტული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

„ინსტიტუტი, — ჟურნალისტებს განუცხადა მისმა ხელმძღვანელმა, დოქტორმა პოტიმ, — აღიჭურვება საკვლევი სამუშაოებისთვის აუცილებელი თანამედროვე მოწყობილობებით. იგი კონკურენციას არ გაუწევს ქვეყანაში არსებულ სამედიცინო-სპორტულ ცენტრებს და ამ დარგის სპეციალისტებს... ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ფრანგული სპორტის განვითარებას. პირველ ყოვლისა, პრაქტიკული დახმარება გავუწიოთ სპორტსმენებს, — თქვა პოტიმ. (საკდესი).

## ტანვარჯიში

### იაპონელები ემზადებიან

**ტოკიო.** საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგის მსოფლიო ჩემპიონატში (22-29 ოქტომბერი) „ამომავალი მზის ქვეყნის" ნაკრებ გუნდს სათავეში ჩაუდგება ახალი ლიდერი — 25 წლის ხიროსი კაძიამა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებს იაპონიის ტანვარჯიში.

კაძიამის (მონრეალში V ადგილი დაიკავა) გარდა გუნდის შემადგენლობაში არიან: 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი ე. კენმოცუ, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი ორძელზე და ბჯენით ხტომაში ს. კასამაცუ, ოლიმპიადა-76-ის ბრინჯაოს პრიზიორი მ. ცუკაჰარა. მათ გარდა, სტრასბურგის ფიცარნაგზე გამოვლენ 25 წლის ს. სირაისი და 23 წლის ი. სიმიძუ. სათადარიგო იქნება 30 წლის ტ. ოკამურა.

ეს ნაკრები შედგენილია იაპონიის თასის გათამაშებაში სპორტსმენთა გამოსვლის შედეგების მიხედვით. ამ ასპარეზობაში მონაწილეობს რეგიონულ შეჯიბრებებში გამარჯვებული 20 საუკეთესო სპორტსმენი.

მიუხედავად ორიგინალური, რთული ელემენტების სიმრავლისა და საკმაოდ მაღალი ტექნიკური ოსტატობისა, არბიტრები ძალიან ძუნწობდნენ და შეფასება შედარებით დაბალი იყო. მრავალჭიდში გამარჯვებულმა კაძიამამ 111,45 ქულა მოაგროვა (აღვნიშნავთ, რომ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, საბჭოთა ტანმოვარჯიშის ნ. ანდრიანოვის ქულათა ჯამი მონრეალში იყო 116,65).

როგორც ხედავთ, იაპონიის ნაკრებში ამჟამად ვერ ვხედავთ 8 ოქროს, 3 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს ოლიმპიური მედლების მფლობელს ს. კატოს. იაპონური ტანვარჯიშის ვეტერანმა დატოვა აქტიური სპორტი და ახლა მის მემკვიდრედ ითვლება კაძიამა, რომელსაც იაპონელი სპეციალისტები ანდრიანოვის ძირითად მეტოქედ თვლიან მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. (საკდესი).

**ბონი.** დიდი ბრიტანეთის ნაკრებმა პირველად მოიპოვა კონკურში (წინაღობათა გადალახვა) მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულის ტიტული. მან თავი გამოიჩინა დასავლეთგერმანულ ქალაქ აახენში, სადაც ამ შეჯიბრებების ჩატარების მეოთხედსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში პირველად მოეწყო გუნდური ტურნირი.

გამარჯვებულთა გუნდში გამოდიოდნენ კ. ბრედლი (ცხენით — „ტაიგერი"), დ. ბრუმი („ფილკო"),

## ცხენოსნობა

დ. რიკეტსი („ხიდროფან გოლდსტრიმი") და მ. პირა („ლოუ კორტი"). ორდღიანი შეჯიბრების შემდეგ გამარჯვებულთა შედეგია 26,60 საჯარიმო ქულა. II ადგილზე გავიდა ჰოლანდიის გუნდი — 31,30, III ადგილი აშშ-ის სპორტსმენებმა დაიკავეს — 42,40.

მსოფლიო ჩემპიონატების დებიუტანტმა სსრ კავშირის ნაკრებმა ჩათვლა ვერ მიიღო, რადგან ბრძოლას გამოეთიშა მისი ორი მონაწილე.

სულ შეჯიბრებაში 12 ქვეყნის გუნდები მონაწილეობდნენ.

წინაა პირადი ტურნირის ფინიში, რომლის ჩათვლაში შევა გუნდური ასპარეზობის შედეგები. ჯერჯერობით ლიდერობს მაიკლ მეტცი (აშშ), რომელსაც 2,25 საჯარიმო ქულა აქვს (საკდესი).

# კვლავ 80 მეტრს იქით

**მძლეოსნობის** ისტორიაში ურო მეორედ „გადაიფრინდა" 80-მეტრიან ზღვარს. ეს მოხდა დასავლეთგერმანულ ქალაქ ჰაიდენჰეიმში გფრ-ისა და საფრანგეთის იუნიორ მძლეოსანთა შორის გამართულ შეჯიბრებაში, მაგრამ ეს მიღწევა იუნიორს არ ეკუთვნის. ამ მატჩში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ გფრ-ის ნაკრების ცნობილი უროსმტყორცნელები. 27 წლის კ.-ჰ. რიმმა ურო 80,32 მეტრზე სტყორცნა და დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი.

თვე-ნახევრის წინ საბჭოთა ათლეტმა ბორის ზაიჩუკმა, როგორც იქნა გადალახა უროსმტყორცნელთათვის მიუღწეველი 80-მეტრიანი ზღვარი, მაგრამ სხვა სპორტსმენებმაც შეუტიეს რეკორდს და აი, რიმმა მიაღწია წარმატებას.

სამი წლის წინ დასავლეთგერმანელი მტყორცნელი უკვე ატარებდა მსოფლიო რეკორდსმენის სახელს. 1975 წელს მის მიერ ნატყორცნი ურო 78,50 მეტრზე დაეცა. მაშინაც წარმატება მან გფრ-ის პატარა ქალაქ რელინგენის უმნიშვნელო შეჯიბრებაში მოიპოვა.

რიმი დარწმუნებულია, რომ რეკორდზე „შეტევა" შესაძლებელია მხოლოდ პატარა შეჯიბრებებში, როცა ერთადერთი მიზანი შორს ტყორცნაა და სხვა არაფერი იპყრობს სპორტსმენის ყურადღებას. სწორედ ამიტომ, ამტკიცებს იგი, — „საეჭვოა ევროპის ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება. ძალზე მაცდურია ოქროს მედალი, თუმცა პრაღაში შეიკრიბება მტყორცნელთა ძლიერი კამპანია და ისინი მოგებაზე უფრო იფიქრებენ, ვიდრე რეკორდზე".

რიმი წარუმატებლად გამოვიდა მონრეალის ოლიმპიადაში (IV ადგილი). ამაში დიდი როლი ითამაშა ტრავმებმა. გასული წლიდან „რანგების მსოფლიო ტაბელში" რიმს I ადგილი უკავია. მან არა მარტო გაუსწრო მეტოქეებს სეზონის მთავარ სტარტებში — ევროპისა და მსოფლიოს თასების გათამაშებაში — არამედ საოცარი სტაბილურობა გამოავლინა დიუსელდორფში, სადაც ექსივე ნატყორცნი 74-მეტრიან ზღვარს გადააცილა. ოღონდაც იმავე „იღბლიან" წელიწადს მან სსრ კავშირ-გფრ-ის მატჩში წააგო ბ. ზაიჩუკთან, რომლის რეკორდიც 6 აგვისტოს გააუმჯობესა. წლეულს მსოფლიოს ახალმა რეკორდსმენმა თავი აარიდა საბჭოთა ათლეტებთან ტრადიციულ მატჩში მონაწილეობას, თუმცა იმ დროისთვის მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა — 79,12 მ. როგორც ჩანს, საბჭოთა მტყორცნელები მისთვის ყველაზე „უხერხული" მეტოქეები არიან, მაგრამ პრაღაში სწორედ მათთან მოუწევს ევროპის პირველობის მედლებისთვის ბრძოლა... (საკდესი).

### მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.



ა. ოქროპირიძის ნახატები.

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**



**ჩოგბურთი — დასვენების საუკეთესო საშუალება!**

ორგანიზმს გაგიკაჟებთ, სიძლიერეს შეგმატებთ, სხარტსა და მოქნილს გაგხდით, სწრაფი რეაქციის უნარს შეგძენთ. ერთი სიტყვით, თავს მუდამ მხუბუქად, ჯანსაღად და მხნედ იგრძნობთ თუ სისტემატურად ივარჯიშებთ სპორტის ამ საინტერესო და მომხიბვლელ სახეობაში.

ჩოგბურთის მოყვარულებს ცეკავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებში ყოველთვის შეუძლიათ შეიძინონ მაღალი ხარისხის სათამაშო ჩოგნები.

ჩოგნების ფასი 7-დან 12 მანეთამდეა.

ჩოგბურთის მოყვარულებს ვიწვევთ ჩვენს მაღაზიებში!

ცეკავშირის გამგეობა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51; ჭადრაკის — 93-97-26; ხაზატვრო — 93-97-59.

ИНДЕКС 65435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02179